


# ფოთის ცენტრალური პარკი

## მომხმარებელთა კვლევის ანგარიში

ივნისი 2024

# კვლევის შესახებ

- ონლაინ კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა ფოთის მოსახლეობა.
- გამოკითხვის მიზანი იყო მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, პარკის ვიზიტორთა კმაყოფილებისა და მათი საჭიროებების კვლევა.
- კითხვარი შედგებოდა ოთხი ნაწილისგან: დემოგრაფიული მონაცემები, პარკით სარგებლობის გამოცდილების შეფასება, პარკის ობიექტებით კმაყოფილება, საჭიროებების გამოვლენა.
- კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება ფოთის მერიისა და პარკის ადმინისტრაციის მიერ სივრცის კეთილმოწყობის შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის პროცესში.

ანგარიში მომზადებულია პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კესარია როდონაიას, ლიანა გორაძის და ნათია ღვედაშვილის მიერ.

# დემოგრაფიული მონაცემები - სქესი და ასაკი

კვლევაში მონაწილეობა მიიღო **<u>90-მა</u>** რესპონდენტმა.






# ცენტრალური პარკის მდებარეობა

3. “რა მანძილზე მდებარეობს პარკი თქვენი საცხოვრებელი ადგილიდან?”



# პარკით სარგებლობის გამოცდილების შეფასება

პარკის მომხმარებელთა საერთო გამოცდილებით კმაყოფილება გაიზომა 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უკმაყოფილოს, 5 - ძალიან კმაყოფილს.



# პარკით სარგებლობის სიხშირე



# პარკით სარგებლობის გამოცდილების შეფასება

მომხმარებლები ყველაზე ხშირად იყენებდნენ/სტუმრობდნენ ჩამოთვლილ სივრცეებს:



# პარკით სარგებლობის გამოცდილების შეფასება

კითხვაზე შეუმჩნევიათ თუ არა პარკში რაიმე გაუმჯობესება ან ცვლილება ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოკითხულთა:

- 93,3%-მა (84 რესპონდენტი) უპასუხა **დადებითად**
- 3,3% (3 რესპონდენტი) **არ იყო დარწმუნებული**
- 3,3%-მა (3 რესპონდენტი) უპასუხა **უარყოფითად**



# პარკით სარგებლობის გამოცდილების შეფასება

რესპონდენტებს ეთხოვათ გაეზიარებინათ მათთვის ყველაზე სასიამოვნო და ყველაზე უსიამოვნო გამოცდილება პარკით სარგებლობისას.

**სასიამოვნო**

- “ყოველი გასიერნება წინაზე უკეთეს შეგრძნებას მიტოვებს”
- “ძალიან მომწონს ფოთის პარკი, ძალიან მიხარია, რომ ატრაქციონები გარემონტდა და თავისუფლად შეგვიძლია სარგებლობა, კარგი გარემოა მეგობრებთან ერთად დასვენებისთვის.”
- “როგორც მშობლისთვის, ძალიან სასიამოვნოა რომ პარკში არის ლამაზი და საინტერესო გარემო პატარებისთვის”
- “საახალწლოდ მორთული პარკი იყო ულამაზესი, ამასთან სულ მოწესრიგებულია და როდესაც ვსტუმრობ კმაყოფილი ვარ.”
- “ყველა კულტურული ღონისძიება ნამდვილი ზეიმია”
- “პარკი ძალიან მოწესრიგებული და სუფთაა”
- “ახალგაზრდებისთვის საყვარელი გარემოა...”

**უსიამოვნო**

- “ძალიან ბევრი მიუსაფარი ძაღლი ბავშვებისათვის საფრთხის შემცველია”
- “ყველაფერი სასიამოვნოა გარდა უპატრონო ძაღლების პარკის შიგნით ყოფნისა.”
- “უსიამოვნოა საპირფარეშო”
- “,,მე მიყვარს ფოთის'' შაბლონური, ძაან ჩამორჩენილი და გოიმური სტენდი. შინაარსი კი არაა ცუდი, ქალაქი უნდა გიყვარდეს და ზრუნავდე, მაგრამ ეს სტენდია თუ კონსტრუქცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს! არგონავტების მითისა და მედეას ლეგენდების მემკვიდრე ქალაქს სხვა არაფერი აქვს სათქმელი? მეტი-კრეატივი, გთხოვთ...”
- “ცუდ ამინდში, წვიმის შემთხვევაში ვერასდროს ვახერხებ სუფთად დასვენებას.”

# პარკის ობიექტებით კმაყოფილება

რესპონდენტებს თითოეული ობიექტი უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უკმაყოფილოს, 5 - ძალიან კმაყოფილს.






# პარკის ობიექტებით კმაყოფილება

რესპონდენტებს თითოეული ობიექტი უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უკმაყოფილოს, 5 - ძალიან კმაყოფილს.






# პარკის ობიექტებით კმაყოფილება

რესპონდენტებს თითოეული ობიექტი უნდა შეეფასებინათ 1-დან 5-მდე სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა ძალიან უკმაყოფილოს, 5 - ძალიან კმაყოფილს.



# საჭიროებების გამოვლენა: შემოთავაზებული იდეები

რესპოდენტების მიერ შემოთავაზებული იდეები პარკის გაუმჯობესების მიზნით:

- " პარკი უფრო განათებული რომ იყოს კარგი იქნება"
- უფრო მეტი გასართობი სივრცე როგორც პატარებისთვის, ასევე დიდებისათვის
- ჰამაკები, დასასვენებელი სივრცეები, ე.წ. ეშმაკის ბორბალი, ატრაქციონების მრავალფეროვნება.
- აუცილებელია მოწესრიგებული სველი წერტილები
- შემეცნებითი კუთხის მოწყობა ჯგუფური თამაშებისა და აქტივობებისათვის: ძერწვა, ხატვა, ე.წ. სააღდგომო Egg hunt .
- მეტი გამწვანება და ყვავილების მრავალფეროვნება, ყვავილი ბევრად გაალამაზებდა პარკს და გადახურული ბუნგალოები.
- ღონისძიებების ხშირი დაანონსება, მაგალითად თვეში ერთხელ, რომლის შესახებ ინფორმაცია იქნება ყველასთვის ხელმისაწვდომი. საბავშვო ფილმების ჩვენება, ღონისძიებების გამართვა, ხელმანეკეტი ნივთების გამოფენა.
- ე.წ. კომანჩეროს სივრცის ათვისება: გასუფთავება, მისი გარდაქმნა ლიტერატურულ კაფედ, სადაც იქნება ვიზიტორტათვის ხელმისაწვდომი ფასები.
- კაფეების დამატება, რომელიც იქნება ხელმისაწვდომი  დროის სასიამოვნოდ გასატარებლად ასევე სამუშაო სივრცედ გამოსაყენებლად
- ისტორიული ბიბლიოთეკის რესტავრაცია, წიგნების ფონდის განახლება, რომ სეირნობისას ბავშვებთან ერთად შესვლა მოვახერხოთ.
- სქროლის/სკეიტის/ველოსიპედის გაქირავება, პარკის მიდამოებში.
- უამრავი ძაღლია ხოლმე და მათთვისაც რომ იყოს რაიმე ადგილი გამოყოფილი, კარგი იქნებოდა, სადაც ხალხიც შეძლებდა მათ გამოკვებას.

# კითხვა: რამდენად ურჩევთ პარკში სტუმრობას მეგობრებსა და ოჯახის წევრებს თქვენი დღევანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე?



კითხვა: დაინტერესებული იქნებით ჩაერთოთ  სათემო სამუშაო შეხვედრებში ან ფოკუს ჯგუფებში პარკის განვითარების პროცესში მონაწილეობის მისაღებად?



## კითხვა: როგორ გირჩევნიათ მიიღოთ სიახლეები და ინფორმაცია პარკის ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ? (აირჩიეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



# ცენტრალური პარკის კეთილმოწყობისას კლიმატური პირობების და ამინდის ხშირი ცვლილებების გათვალისწინების მნიშვნელობა






# რისი განვითარება ან დამატებაა მნიშვნელოვანი პარკში

თითოეული დებულება შეაფასეს 5 ბალიანი სკალით, სადაც სადაც 1 არის სრულიად უმნიშვნელო, ხოლო 5 - ძალიან მნიშვნელოვანი.

# ფოთის ცენტრალური პარკით სარგებლობის ხელშემწყობი ფაქტორები



# შშმ სტატუსის მქონე პირთა მოთხოვნა/საჭიროებების კმაყოფილება 5 ქულიან სკალაზე (1- სრულად არ აკმაყოფილებს, 5-სრულად აკმაყოფილებს)



# ფოთის ცენტრალურ პარკში ვიზიტის დროს შენიშნული ბარიერები და დისკომფორტი

- ❑ მიუსაფარი ძაღლები
- ❑ სველი წერტლების ცუდი მდგომარეობა
- ❑ კვების ობიექტების არარსებობა
- ❑ საჩრდილობლებისა და გადასაწვიმი ადგილების ნაკლებობა
- ❑ ჭადრაკის სათამაშო მაგიდების სკამები
- ❑ მოუწესრიგებელი შადრევანი
- ❑ დილის საათებში  ატრაქციონების უფუნქციობა
- ❑ პარკის ცენტრში უფუნქციო შენობა

## პარკით სარგებლობის ხელმისაწვდომობისათვის გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობები

- უსაფრთხო და სუფთა გარემო
- მრავალფეროვნება
- გამწვანება
- ხელმისაწვდომი ფასები
- უფასო ინტერნეტ-ზონა
- შშმ პირთათვის განკუთვნილი მოედანი
- შეჭირვებული ოჯახებისთვის უფასო  ბავშვთა გასართობი სივრცე
- კულტურული ღონისძიებების და კუთხის შექმნა
- მოერგოს ყველა ასაკის თუ თაობის ადამიანებს მაგ: ასაკოვანთა კუთხე, მეტი ბავშვთა გასართობი სივრცეები.

# დამატებითი კომენტარები და გამოხმაურება:

- მიუსაფარი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა
- საბავშვო კულტურული სივრცეების გამრავალფეროვნება
- ველო ბილიკების დამატება
- სპორტული და ღია კაფეების დამატება
- საკონცერტო სივრცის მოწყობა
- გვაქვს პარკში სივრცეები რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას და ქმნიდეს დამატებით შესაძლებლობას სხვადასხვა საჭიროებით ფუნქციების სარგებლიანობას და ეფექტურობას
- პარკი ძალიან გალამაზდა და მოეწყო, წლების წინ ამაზე ვერც ვიოცნებებდით
- ძალიან გგულშემატკივრობთ, მოგვწონს აშკარა გაუმჯობესება და დადებითი ცვლილებები!
- წარმატებებს გისურვებთ, მიხარია რომ ვვითარდებით
- კომფორტული გარემოა, მადლობა.